დადგენილება № 07/2020 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკუთარი შემოსავლებიდან საშტატო ერთეულის დამატების შესახებ

დადგენილება № 07/2020
7 სექტემბერი, 2020

დადგენილება № 7/2020 სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკუთარი შემოსავლებიდან საშტატო ერთეულის დამატების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-11 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 07 სექტემბრის № 03 სხდომის ოქმის საფუძველზე

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკუთარი შემოსავლებიდან დაემატოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის საშტატო ერთეული;
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ირაკლი ევსტაფიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი